



ხელის-მოწერა მიიღება:

ქართული
საბჭოთაო

გაზეთის ღირებულება:

თბილისში	გაზეთის ღირებულება:	გაზეთის ღირებულება:
გარეშე ადგილებში:	— 7 მან.	— 6 მან.
თბილისის ფოსტისა	— 6 —	— 5 —
გარეშის ფოსტისა	— 4 —	— 3 — 50 კ.
თბილისის ფოსტისა	— 2 — 50 კ.	— 2 —

ქრონოსი

თბილისში „დროშის“ რედაქციის კანტორაში, მგლოშია და კაპ. სტამბაში, შალვაისის პროსპექტზე, ა. ზუბოლოვის სახლში. —

თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисѣ. ВЪ конторѣ редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზე. შსი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძანებისას გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიბერატორო გაზეთი.

რედაქციისადმი.

ხელის-მოწერა „დროშაზე“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბეჭდვა შეიძლება პირველიდანვე დაიწყოს.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროშის“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ფული.

ამ ნუმერში არის: მმართველობის განკარგულება: — ძველის აქეთის ძალების ინსტიტუტის რედაქცია. — მეორე მეცხვის კამისისადგან. — პოლიტიკა: — მანკია. — ანგლია. — ბერმანია. — იტალია. — მსხვილი. — ანგლია. — ძველის „კორესპონდენცია“. — მსხვილი. — სალიბერატორო ნაწილი: — სტატორიული მოძრაობა განათლებისა. — ფელეტონი: — მანკია. — სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდან.

მმართველობის განკარგულება.

აქეთის-აქეთის ძალების ინსტიტუტის რედაქცია.

რადგანაც ოცდა ერთმა ქალაქი დაასრულა წელიწადი აქეთის ძალების ინსტიტუტში, ამისთვის, ნებითა მათის მმართველობის დიდებულებისათა, 1-ს ივნისს იყო შედგენილად სასწავლებელში ბრწყინვალე კადრები.

რადგანაც წარსულს სამოსწავლო წელზედ წარსულის წაკითხვა გათავდა, იმის შემდეგ მართლმადიდებელთა სახელები ქალებისა, რომელთაც განსაკუთრებით კარგის ყოფიქცევისანი იყვნენ და რომელნიც წარმატებით სწავლობდნენ. ინსტიტუტის რედაქცია იმის დაჯილდოება. როგორც კი უმაღლესად ნება გამოეცა მისთვის ამგებულად გამოცხადდება.

მანკია იმ განცხადებისა, რომელიცა „მანკიის“ 21 №-ში იყო დაბეჭდილი, ძველის აქეთის ძალების ინსტიტუტში, 3 ივნისს მოხდა კენჭის-ყრა სახელმწიფო ხარჯზედ ქალების მიღებისთვის: მუნებურს განყოფილებაში წილად ხელდასხმულთა ხარჯზედ მიიღება: ბარბარეს ტერ-დეიდოვისას, სოფოას მარხან-მოურავოვისას და ნინოს რატივივისას. რუსის ჩინოვნიკების ქალების განყოფილებაში ელირსენ მიიღება: ნინო აულიკოვისას და მარიამ მორენცისას.

მეორე მეცხვის კამისისადგან. მომავალი მკათათვისას გამოჯენას და გაყოფას მონაწილეთა შორის შემდგომის მამულეებისას: ტინას, ბუქლუღეთისას, ამლივისას, პირთისისას, აბრამეთისას, აბელიასას, წორეთისას, ბუდარესისას, ბორის-თავისას, ტყემლანისას, მარხენარისას, ბედენისას, მკეკასას, პომბალასას, საბურზებისას, სხერისას, ზასას, ზის-ახაშენისას, მონრორასას, საქრისისას, და შემდგომ შევლთასას, ზემო-მდისისას, მემომდისისას, მინინვალასას, მყავისას, ანატისას, და სხვათა. რადგანაც ადგილობრივ არაფერს შემამულეთაგანი არა სცხოვრებს, ამისათვის კამისია აცნობებს ყველას, ვისაც საქმე შეეხებოდეს, ყურიფდონ მეცხვის კამისის პოქმედებას, როგორათაც გვიბანებს მე 66 პუბლი მეცხვის წეს-დებულებისა ანუ წინათვე აცნობონ კამისიას, თუ სად სცხოვრებენ ამ მამულეების პატრონები, რომ კამისიან შეიძლოს თავის დროზედ იმათ უწყება გაუზავნოს.

პოლიტიკა.

ზრანცია. პარიჟი, 27 მაისს (8 ივნისს). პრის ფრანკულუს გაზეთში ძონსტიტუსი-ანელში „Constitutionel“ არის დაბეჭდილი

შემდეგი გულში ჩასარჩენი სიტყვები: „იმ კაცებს, რომელთაც სურთ შეიტყონ, თუ რამდენად მართალია მიიღო შრანციამ იმ გარემოების შემდეგ, რომელმაც მოახდინა ახლანდელი კრიზისი, ჩვენ ვეცხვით, რომ შრანცის თავისი მდგომარეობა ოდნადაც არ შეუცვლია. იმპერატორის მმართველობა თავიდანვე ურჩევდა იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ერთმანეთში ჰქონდათ უკმაყოფილება. რომ ისინი ყოფილიყვნენ მშვიდობიანთა. შენსკენს დროს ის მოვლასაკა ლონდონის და პეტერბურგის ტახტებს და უჩვენებდა რა სახელმწიფოებს საშუალება, რომ ლითაც შეიძლებოდა უკმაყოფილონი სახელმწიფოანი ერთმანეთში მორიგებულ იყვნენ ამ მშვიდობის მოყვარობის მეცადინეობას ვერა გარეგარა და თუმცა ჯერ ომი არ დაწყებულა, მაგრამ ნეიტრალურ სახელმწიფოებმა კი იმედი დაჰკარგეს მშვიდობიანობაზედ. შრანცია უწინდელათ განზედ დგას. როგორც ჩვენ ვსთქვით ის ყოველ-გვარის მოვალეობისაგან თავისუფლია. იმის მმართველობას სრული თავისუფლება მიეცემა, რომ ისე იმოქმედოს, როგორც იმას ნებაგს. შრანცია მხოლოდ მაშინ გაერევა შერაბის აღიულებლაში, როდესაც რამე განსაკუთრებით სამძიმო გარემოება აღიძურებს იმას დაუცვას თავისი ღირსება და თავისი სახალხო ინტერესი (სარგებლობა).

— პრის კორესპონდენციაში, რომელიც არის პარიჟიდან ერთს გაზეთში „Independence Belge“ გაგზავნილი, სხვათა შორის აი რა სიტყვებია: მართლად შემიძლიან დაგარწმუნოთ, რომ შრანციასა და ანგლიას შუა არაოდეს არ ყოფილა ამისთანა მჭიდრო და ასე გულ-წრფელი თანხმობა, როგორც ახლანდელს დროში. დარწმუნებით ამბობენ, რომ ყოველგვარი შემთხვევა, რომელიცა შეიძლება იქნება მოხდეს, არის იმათგან საერთო იყო. სოლი—ხან ყმაწვილს აიბარებდნენ ქალაქიდან ძუძუს საწოლებად, რადგანაც ქორთუ ყმაწვილები ეხოცებოდნენ—ძუძუს აღარ გაიშრობდა ხოლმე, უბედურების სარგებლობდა, — ცოტა ხნობით ძიძათ გადაეკეცოდა ხოლმე... ზოგს ახალს უყვარდნენ (ხელი კი კარგი ჰქონდა ამ დროს) დღისას, ზოგს ძველს უყვარდნენ, ზოგს პურს უყვარდნენ, ან ურცხვად, ხან წინა-პატივს უყვარდნენ და ხან და ხან ჩახსაკრებეს-ც აბამდა ხოლმე, თუ ვინმე შეუტყვევებდა. მართლმადიდებელი პატარა კარგი, მწველელი ძროხა-ცა ჰყვანდათ. — მეთრეულ ობას თვეში ორჯერაც ვერ გამოიმეტებდნენ ხოლმე თავიანთ პირისთვის, მაწონსა და რძესა ჰყიდდნენ. ცოლი სულ ყოველთვის, როცა კი იწველიდა ძროხა (ბერწობა, იმათ იბაღვებდნენ, იმეითათ იცოდნენ). ხან და ხან როცა გოლივიან-ზაფხული იყო ძროხაც, უბაღვობის გამო რასაკვირველია, წველას უყვარდნენ ხოლმე. მლისავე (ცოლს-კრკო) ცოტა-ოდენ წყალს დაჰკარავდა ხოლმე რძეში და წუწუნის წილად უნებდა: რა ექნა, ვიცი თავს ვიწყენდა; მაგრამ რა უყო, რომ მიჭირს, ორიოდ მაური მეტი ამოვიღო, — ეს ჩემთვის დიდ-ღეთის-წყალობა არის და უფროსებს კი არა

თით განსჯილი და აწონილი. იმათი მდგომარეობა ამ დროს შერაბაში სრულებით განსაზღვრულია. ამ გვარის მჭიდროდ შეთანხმების გამო ლორდი ძლარენდონი ამ დღეებში მოვა პარიჟში ფრანკულუსების იმპერატორის სანახავად.

ანგლია. ლონდონი, 21 მაისს (2 ივნისს). ანგლიის გაზეთში ტაიმსში „Times“ სწერენ: დღისა და დღის განმავლობაში უფრო და უფრო ცხადდება, რომ სამნი სამხედროთ აღჭურვილნი სახელმწიფოანი არ მოიცილან, რომ იმათი უთანხმოება მშვიდობიანის გზით გადასწყდეს. — ანგლია ისე ძლიერია მხედრობითა, რომ იმას ომის არ ეშინიან და ფულითაც ისე ღარიბია, რომ ომის დაყოფისასაც ვერ მოითმენს. — მთ მართლა ანგლიამ განაქარვა უკანასკნელი იმედი მშვიდობიანობაზედ, მაშ ამ საქმეში პასუხის-მგებლათაც ანგლიის იმპერატორი უნდა დარჩეს. მთმაც ის იყო განსაკუთრებით გაჯავებული და ბერმანიისთანაც მართალია, მაგრამ ის ვერ მოიქცა კეთილ-გონიერათ, რომ ჯერ სულ არ მიიღო ნეიტრალურის სახელმწიფოების მიწვევა და შემდეგ მიწვევის მისაღებად იმისთანა პირობები გამოაცხადა, რომელნიც თვით მიწვევას აუქმებენ. რადგანაც ის არ გახდა თანახმა, რომ იმის იტალიის სახელმწიფოებზედ ყოფილიყო რამე გვარი მოლაპარაკება, ამისთვის უფრო თავისუფალნი და შემდეგ შერაბის სახელმწიფოანი იმას გადუღენ. მთ რომ შემდგომში იმის ახლანდელს მტრებს სხვანიც მიემატენ, ქვეყანა იტყვის, — ახია იმაზედ ეს საქმე. მეორეს დღეს ამ სტატიის ბოლო ფრანკულუსს გაზეთში „მონიტორში“ დადაბეჭდეს.

ბერმანია. ვენა, 20 მაისს (1 ივნისს). შელდმარშალმა ბენედექსა 14 (26) მაისიდან კაცსა შემდეგი ბრძანება ჩრდილოეთის ანგლიის არმიის: „მე საჭიროდ დავინახე, რომ

დროშა სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებაში.

III.

ბლანა ბედკრულად იღი ხანა გამოჰქცევი, ახალ-გაზდა ცოლით, თავის ბატონსა და მძილისში შერაზედ ერთს ქობს შეფარება. დაუღვრამელის და მუყაითის ხელ-ქებით ცოლს ცალკე და, აგურის ქურანებზედ შეშის მხეჩავად) მუშაობით, ქმარს ცალკე. — თავიანთი საქმე მოეგვარიანებინათ. შეიღებებარა ხანს არა ჩივობდათ. უნდოდათ ერთი-კუთარე ქერი ჰქონდათ, ან თითონ აეშე-ქებინათ და ან მზათ აშენებულნი ეყიდნათ. ამიტომ რაც შეეძლოთ საწყლებს თითო ფულ-ობით აგროვებდნენ. ამ დროს საიდგანად არ იყო, სუნით მიავნო ბატონმა და თავ-ზად დასცა ცოლ-ქმარსა. შიმისითაც ღარიბ-სახლობა, იმან სულ გაასაწყლა. საცოდავებსაც დაუცხრომელის შრომით ქიანქელებისათვის წეთა და დაგვიტ შეეკრიბათ მოქირან-ბეღელ ცოლ-ქმარს სულ წართვის. მას აქვე მზული აღარა ჰქონდათ საჩიოს შეძინებაზედ რადგანაც შესძლო იყო ისევე ეს არაკი გა-მორკებულიყო იმათ თავზედ. ამის გამო, ბატონი დაგრჩეს ისე ხელ-ცარიელი, როგორც

ბედკრულად იან დაწერილ-შვილებულნი სიბერეს მიეგებნენ. არა მოიძიოდა რა იმათ ბედ-ზედ; ღეთისაგან განაჩენი არა იყო რა იმათ თავ-წალოში. ზერე შეიღებდა არა ჩივობდათ, მაგრამ ბოლოს შერჩათ. რა თილისმინანი თათრული თასებით არ ასეა დღეში შეიღვჯერ წყალი, რადგანაც არ შეუთქვა, რა ნი შე ბი და სხვა და სხვა თეთრ-წმინდა ბიორგები არ ილოცა ბლანას ჯალაბმა, ასე გაშინჯეთ ერთ ღამეს ჩუმათ თაქიანთ მამა-პაპის სალოცავსაც უთითეს ღამე... ბატონმა ვერ გაუგო. ბოლოს, როგორც იყო ყოლა ვაჟი, პატარა ხანს უკან მეორეც მიემატა ქალიც დაედა. შეიღებდა ყველანი სამ-სან-წელიწადს/ბერ-მოლოზნები იყვნენ (ამ დროს თმა არ გაუკრეკიათ იმათთვის), როგორც მეთუქვს; აგრეთვე თითო ხელი პერანგი, დღელის გამონ-ცვალი გასციეთეს ამ ყმაწვილებ-მა... და ამ გვარად, როგორც ამბობდა ხშირად ბედკრულადის ჯალაბი, ძალ-სძალათ გამოჰგლიჯა შეიღებდა სიკედილის პირიდგან და იმითმაც უფრო უყვარდა ისინი.

ამ დროს ერთი იყო ათის წლისა, დერცი-ქა ჰყვანდა ცხრა წლით შავირდათა, მეორე იყო ცხრა წლისა, — იმ უბნის მებზორეთ იყო და ერთი პატარა ქალი აქვანში უწვით. მამა ღამე ასასობდა და დღე შეშის მჭრე-

ლათ იყო. სოლი—ხან ყმაწვილს აიბარებდნენ ქალაქიდან ძუძუს საწოლებად, რადგანაც ქორთუ ყმაწვილები ეხოცებოდნენ—ძუძუს აღარ გაიშრობდა ხოლმე, უბედურების სარგებლობდა, — ცოტა ხნობით ძიძათ გადაეკეცოდა ხოლმე... ზოგს ახალს უყვარდნენ (ხელი კი კარგი ჰქონდა ამ დროს) დღისას, ზოგს ძველს უყვარდნენ, ზოგს პურს უყვარდნენ, ან ურცხვად, ხან წინა-პატივს უყვარდნენ და ხან და ხან ჩახსაკრებეს-ც აბამდა ხოლმე, თუ ვინმე შეუტყვევებდა. მართლმადიდებელი პატარა კარგი, მწველელი ძროხა-ცა ჰყვანდათ. — მეთრეულ ობას თვეში ორჯერაც ვერ გამოიმეტებდნენ ხოლმე თავიანთ პირისთვის, მაწონსა და რძესა ჰყიდდნენ. ცოლი სულ ყოველთვის, როცა კი იწველიდა ძროხა (ბერწობა, იმათ იბაღვებდნენ, იმეითათ იცოდნენ). ხან და ხან როცა გოლივიან-ზაფხული იყო ძროხაც, უბაღვობის გამო რასაკვირველია, წველას უყვარდნენ ხოლმე. მლისავე (ცოლს-კრკო) ცოტა-ოდენ წყალს დაჰკარავდა ხოლმე რძეში და წუწუნის წილად უნებდა: რა ექნა, ვიცი თავს ვიწყენდა; მაგრამ რა უყო, რომ მიჭირს, ორიოდ მაური მეტი ამოვიღო, — ეს ჩემთვის დიდ-ღეთის-წყალობა არის და უფროსებს კი არა

დააკლ ბათ რა ამით, თუ არა ლუკმა-პური ვაგვიწყდება...

მეზორე შეილიც (ცხრა წლისა) შევლოდა დედ-მამას ცხოვრებაში, კარგა ხელს უმა-რთავდა: — საცა გაზაფხულზედ ახალი სოკო, სკინტრი, სატაჟური, ქარქვეტა, ღანძილი ან სხვა რამე განდებოდა, პირველად იმას უნდა მოეკრიფა და ჩაეტანა ქალაქში გასასყიდათ. — წინათვე შეგულგებული ჰყვანდა ქალაქში მ გვარინუგბ რების მუშტრ ბი, რომლებსაც ქორთა, ბუსუსისანი რამ წაკულაქი დაან-ხვეთ კი, თორემ მაშინვე ყრუანტ-ლი დაუვლით ზანში და მაღა გაეხსნებათ, არც ფულზედ ღიწვევენ უკან... რასაკვირველია ჩვენი პატარა მეზორე, ოჯახის-შვილი, შინაც მოეზიდებოდა ქინკარს. კოფჩილას და ყველა ნაირ-ინდურის მხალს. შაბათობით ხბორების შე-ანახავში თითო ჯერ რძეს იღებდა ყველა ბორების პატრონებიდან და კვირა დღით კარგა დახლს იღებდნენ რძე და მაწონსა-კან ასასობდა (ასეცხდნენ მეზობლები ბედკრულადინათ). მლისაგვიდ კარგა ბლომათ გამოიღებდა ხოლმე ქალაქში თეთრეული-ას გასასყიდათ პატარა-პატარა კოჭებით. ამ კვარათ ჩივობდნენ ბედკრულადინანი, დღე-ღღეულათ ძლიერს გამოდიოდნენ. სხადია,

ალექსანდრო სრულიად უ.უ. აფიცრებს და სხვა ჩემს გამგებობის ქვეშ მყოფს ჩინებს, რომ იმათ არას გზით არ გაგზავნონ ხოლო სტატიები გაზეთებში. აგრეთვე არმიის სარგებლობის წინააღმდეგია, თუ კორარესპონდენციაში და საგაზეთო სტატიებში იქნება კრიტიკა (განსჯა, გარჩევა) იმ საგნებზე, რომლებიც სწორედ და საფუძვლიანად არ არიან გაგებულნი. მარა ამისა არ უნდა დაიბეჭდონ იმისთანა სტატიები, რომელშიაც გაიკიცება რომელიმე ჩვენი ნაკლულევიანება, რადგანაც ჩვენს მოწინააღმდეგებს შეუძლიან ამით გაიგონ ჩვენი ჯარის მდგომარეობა, იმისი ძალა, რომლიდანაც ისინი სხვა და სხვა დასკვნას გამოიყვანენ და ბევრს დაფარულს აზრს უდრო-უდროთ და წინასწარ მიგვიხედებინან. ამისთვის მე არ მოვიტყენ, რომ ჯარში იყვნენ კორარესპონდენტები, ჯამაგირით და უჯამაგირით. მე მოვიწვევ უფროსებს და აფიცრებს, რომ ყურადღება მიაქციონ რომ არაინ გაბედოს სტატიების გაგზავნა გაზეთებში, უმაღლესის უფლების ნება—დაურთველად; იმ კორარესპონდენტებს, ვინც ამას არ ასარულებს, მე განედევნი და სამხედრო სასჯელშიაც მივსცემ.

იტალია. პირველი კორპუსის სარდალი ლუიჯი. 27 მაისს ერთს ფრანკულს გაზეთში წოდებდნენ იწერებინან: იტალიის არმიის მოძრაობა მასამხედრობათ ჯერ კიდევ არ შეჩერებულა. ამისთანა მოძრაობა შეუწყვეტლად არის: მხოლოდ მართო იმას ჰხედავ, რომ მოდის და მიდის რაზმები; მხედრები არიან მხედ და მარდათ, ყველანი გამბედავნი და წარბ-გამლიონნი არიან.

არმია წამის წამს ადგილს იცვლის: რაც განკარგულება დილით იყო, ის საღამოს გამოსადეგი აღარ არის. მხოლოდ ეს კი უეჭველია, რომ ჯარი თან და თან უფრო ოთხკუთხისაკენ გროვდება. ეს ოთხკუთხი მინჩიოს პირ და პირ არის. პირველს კორპუსს წინამძღოლობს ლენერალი ლუიჯი. მკერ არ არის ის გამართლებს როგორც იმ კაცების ერთგულებას, რომელნიც იმის ხელქვეით იმყოფებიან, აგრეთვე მთელს იტალიის იმედსაც.

ლენერალი ლუიჯი არის პიემონტელი (ერთი იტალიის მხარე). ის შევიდა 1822 წელს 14 აპრილს სამსახურში ლეიბგვარდიის ესკადრონიში; ოთხის წლის შემდეგ იმას მისცეს პოდპორუჩიკობა და 1831 წელს პორუჩიკათ განაღდეს. რადგანაც ლუიჯი იყო ლიბერალი (თავისუფლების მოყვარე), ამისთვის ის

დაითხოვეს სამსახურიდან და რადგანაც სამშობლოს მხარეს იმისთანა კაცებს იმ დროს სდევნიდნენ, ამისთვის ის შრანციას და ბელგიას გაემგზავრა. 1845 წელს პარლამენტში, მიკტორ-მანუილის მამამ იმას მიუტყევა, ლუიჯი ისევე პიემონტში დაბრუნდა. 1847 წლის გასულს კაროლმა ლუიჯი საიღუმლო მინდობილებით რომში გაგზავნა. მაშინ ის დრო იყო, როდესაც პიო IX-ის სურვა, რომ თავისი არმია შეედგინა. იმან მიანდო ეს საქმე პიემონტის ლენერალს. ლუიჯი მალე შეადგინა მთელი კორპუსი მენციას გასაგზავნელად. ამ კორპუსმა ლუიჯი რანდოს წინამძღოლობით ბევრს ჩხუბში ისახელა თავი. მაგრამ ლუიჯი განსაკუთრებით მიჩენის კვლევებს შიგნით იღიდა თავისი სახელი. ამ ქალაქის დაცვა მართო იმან თავს იღეა.

ზოიკოსთან რომ დამარცხდა რადეცი, (*) იმის შემდეგ ის ისე ხერხიანათ მოიქცა, რომ

(*) 1815 წელს, როდესაც დიდი ნაპოლეონის ომები გათავდა, მოხდა მენში მთელის მგრობის ხელშეწყობის და დესპანების ყრილობა. ამ ყრილობას მენის კონგრესს ეძახიან. აქ სხვათა შორის დასდევს რომ რომის პაპს დაუბრუნდეს ყველა თავისი სამფლობელოები, რომელნიც იმას დიდმა ნაპოლეონმა წაართვა; საფრის საკაროლო სახლს—სავილა, პიემონტი, ნიციცა და გენუა; ავსტრიას—მილანი და მენცია, რომელთაც შეადგინეს ლომბარდო-ვენციის საკაროლო; ოსტრიას პრიონებს—პარმა, და მოდენა ერგოთ. ცოტაანს შემდეგ ნეპოლის საკაროლო შერდინანდა IV-დუკიარს. ის იყო ავსტრიის იმპერატორის ნათესავი, ისე რომ მთელი იტალია ავსტრიის გავლენაში ჩავარდა. ავსტრია სმარობდა ყოველს ლონის-ძიებას, რომ ზემო იტალია ესე იგი ლომბარდო-ვენციის საკაროლო საეკუნოდ იმას ხელში დარჩენდა და მთელი იტალიაც იმის გავლენაში ყოფილიყო; იტალია კი ცდილობდა განთავისუფლებას. ამისთვის ის ნიადავ აღშფოთებული იყო. 1848 წელს ლომბარდო-ვენციის საკაროლო განუდგა ავსტრიის მაგრამ საუბედუროა 1849 წელს ისევ დაიბრუნეს. ამ დამარცხებაში ყველაზე დიდი ღვაწლი ავსტრიას დასდვა რადეციმ. ის იყო ავსტრიის ფელდმარშალი და მთელს ავსტრიის ჯარის მთავარ-მართებელი იტალიაში. 1848 წლის ბუნტის დროს ის ჯერ მილანიდან გააგდეს. მთელი მაშინ ის იყო ძლიერ მოხუცებული, მაგრამ იმან ისევე მალე უზღო იტალიელებს. იმან ნაფარაზედ სძლია პარლი-პლემბერი, რომელსაც მაშინ სურდა, რომ მთელს იტალიის კაროლათ გამხდარიყო. ამ ქვეყანა ლომბარდო-ვენციის საკაროლო ისევ ავსტრიელებს ხელში ჩაუდგო. 1859 წელს პარლ-პლემბერის შვილმა მიკტორ-მანუილმა ავსტრიას ისევე ომი აუ-

ღებდა, შრანციის შემწეობით წართვა იმას ლომბარდო, მაგრამ მენცია მაინც ავსტრიის ხელში დარჩა. ახლანდელი განხეთქილება იტალიის ავსტრიასთან ყურადღებამ მენციის წასართმევთ აღიძვრის. როგორც უკანასკნელის ტელეგრაფიდან სჩანს, ომი კიდევ დაიწყო იმათში.

რომ ზამთარში ვერაფერი დახლი ექნებოდათ, რადგანაც არც მხალი იყო და არც რძე და მწონი. დილით დღე თვალეში უყურებდათ შიმშილით სიკვდილი,—ამიტომ ყველა საათი, ყველა ღამე და დღე, როდესაც კი ცოტათ მაინც გამოიძობდნენ მუცელს და სულს მოიბრუნებდნენ,—საკუთარ ჯილდოთ მიანდათ, უხაროდ, თითქოს ომში მტრებისთვის საგაძლი წაურთმევიათო. დიდათ მადლობდნენ ლმერთსა, თუ კარიელი პურით მაინც კუჭს ამოიშვებდნენ. იმდენი დღე შეგვმატოს, ბედნიერო მკითხველო, რამდენჯერაც ესენი მოწმენდილზედ მსხდარიყვნენ ულუკმა პურით, მწარეთ დაღონებულნი და დაფიქრებულნი,—უფულოთ და უნუგეშოთ,—უსმელუქმელნი, დილით-საღამომდინ უნაყო. სიცივით, სიშინელით, სიღარიბით და სიღატაკით გამოაგნებულნი, ქუჩა წართმეულნი, საზიზღარად და სახარლათ დამახინჯებულნი გონებით, ზნეობით და აგებულებითაც,—სისაწყლეს და მარად-დღიურს გაჭირვებას კაცისაზე წაურთვია იმათთვის. ტყუილ მავალი მხეცის ცხოვრება ბევრით სჯობია ამათ სიცოცხლეს: იმათ საკუთარი სორა მაინცა აქვსთ, ბუნებას ისეთი ტყავიც მოუსხამს იმათთვის, რომ აგრე ადილათ არ შესცივთ, მუცელსაც ადვი-

ლათ გამოიძობენ ისინი,—მაგრამ კაცები,—ბედკრულად ეცები კი ამ ყველა სიკეთეს მოკლებულნი არიან.....

ამ გეარს მდგომარეობაში იყო ენლა, ბედნიერო მკითხველო, ჩვენი ზღაბა ბედკრულადის ჯალაბობა. სულის სიმწარით მოუთმეველად ელოდა სახლის უფროსსა—ზღაბას. მლისაბედი იმედულობდა ეგები ლუკმა-პური მიეშველებინა ოჯახის პატრონსა, რომ პოსურთიღებულებიყო, ორიოდ დღე კიდევ განეგრძო სიცოცხლე, ძვირათ უჯდებოდა, მაგრამ მაინც უნდოდა ცოცხალი ყოფილიყო. ღვას ამ დღივ და გასცქერის ამ შარა გზას. როდის გამოჩნდება ჩვენი კაციო (ასე ეძახიან გლეხის ცოლები თავიანთ ქმრებს). ახარა რომ დაიღალა და თვალეში ეტყინება ყურებით გაბრუნდება, ცალკე გოგოს ჩხავილი აწუხებს დედას, მივა გაფოთებული, ძუძუს ჩაუდებს აკვანში და თან ჩასძახის: ოჰ, ბეჩე! შე უბედურის დღისავე, ცოდვის შვილო, მოსწოვე, აჰ, გატყერი,—პირში ჩასჩრის ძუძუს, თან დაყოლებს: რას მოსწოვე, რომ ამამი (ძუძუში) შავი ქვაც აღარ არის?! შვილო, გუშინ შუადღის აქეთ კარიელი პურიც არ უნახავს გემოთ, დაღონებულის დღისას მწონვარ დედა შენს... ბული ელვეა, ფერი ეცე-

თელს 1848 წლის კამპანიაში ამისთანა კუყური მოძრაობა არ მოუხდენია. ის მიიქცა პანტუაში, გააფარჯისა თავისი ჯარი და ცინიდან ღამე გამოვიდა. ამ რიგათ მოატყუა იმან პარლი-პლემბერი, რომელიც შემდეგ თვითონ დაემწყედა ამ ცინეში. რადეციმ განკლო ლენიანოს ცინე და დეცა მიჩენცას, სადაც ლუიჯი მიიქცა, რაკი ველარასურით ველარ მოახერხა, რომ ნიუქენტა არ შეერთებულებოდა რადეციისთან, რომელთანაც იმას მიჰყავდა მისამატებლად ახლის ჯარის კორპუსი. რადეციის და ნიუქენტის კორპუსებს კიდევ შელდენმაში უმატა 15 ათასი კაცი, რომელიც იმას შიროლიდამ ჰყვანდა. შეეცა ეს გარები დაეცნენ მიჩენცას, ესე იგი ლუიჯი, რომელსაც ძლივს ხელში 12 ათასი კაცი ჰყვანდა, 17 ათასის კაცისგან იმას მართო ამდენი და რჩა! ამ ერთმა მუჭა ჯარმა პირველს დღეს ავსტრიელები გამოჰყარა მიჩენციდან. მთელი მეორე დღე მოქალაქეების შემწეობით იბძოდა; მაგრამ მეტი ღონე არ იყო, ლუიჯი ბოლოს უნდა დანებებოდა. ის პატივ—საცემის კაპიტულაციით დაუმარჩილდა და საღამოს, როდესაც მიჩენციდან გამოვიდა მთელის თავის ჯარითა, რომელსაც თან წაიღო თავის იარაღი დროშები, და თავის მუხიკამიუძლოდა. ამ რიგათ ლუიჯი თავს წაატყა ავსტრიის აფიცრებს. შვარცემ-პერგმა, რომელიც ძლიერს ჯარს მიჰყვებოდა, თხზრა ლუიჯის: „შეხედეთ აი ფელდმარშალი.“ რადეცი ამ სიტყვებზედ მობრუნდა, კიუხლოვდა იმას ცხენით და უთხრა: „ყოჩაღ, ლენერალი.“ მიიღეთ ჩემი მოლოცვა. ამასთან ხელიც ჩამოართვა. ლუიჯი უპასუხა: „გმადლობთ, ფელდ-მარშალი; ნახვამდის!“

ამ სახელოვანის დამარცხების შემდეგ, ლუიჯი პიემონტს წავიდა. პარლამ-პლემბერი იმას მისცა ლენერალ-ლეიტენანტობა და თავის ადუტანტათ დანიშნა. 1849 წლის უბედურს კამპანიაში იმან მიიღო მონაწილეობა და წინამძღოლობდა პიემონტის არმიის დივიზიას. უბედურის ნოვარის საქმის შემდეგ, როცა შერიგება მოხდა, ლუიჯი მიიღო წინამძღოლობა ნოვარის, იზოლის და სარდინიის სახმელეთო დივიზიებისა. შირიმის

ჩხუბში (აღმოსავლეთის ომიანობის დროს) პირველის დივიზიის სარდლად იქნა მისი შირიმის ჩხუბიდან დაბრუნდნის შემს მისი სახმელეთო მენუენის დივიზია. რასაკვირველია 1859 წლის ომში იმან მიიღო მონაწილეობა. სოლფერინოს ბრძოლაში მთელი დღე იგერებდა პოლკერის, ზაალის და რიხის ზღის ბრიგადებს, რომელთაც უნდოდათ ფრანკულების მარცხენა მხარე გაერკათ და შეეპარდნილიყვნენ შრანციისა და იტალიის არმიებს შუა. ლუიჯის დივიზიაში ცხრა ათასის კაცის მეტი არ ყოფილა და ამისთანასატიკს ბრძოლაში მხოლოდ ცხრა ასი კაცი დაჰკარგა. ლუიჯი გარეკა ავსტრიელებს ამის გამო შრანციისა და იტალიის არმიებს ერთმანერთთან არ გაკვირვებულან. იმის ამდენი ქველმოქმედება დამტკიცებად აღსკტირობს.


ლენერალი ლუიჯი ახლა თითქმის სპოციის წლისა იქნება. ის არის შავ-თიან და ქვედა პირის სახე ნაპოლეონ I-ის მივკავს; პატარა ცოცხალი და გამჭრიახ თვალეები აქვს. მალაღის ხმით და ცხელლაპარაკობს. მარტივს და გულწრფელ ყოფა ქცევისა არის. ლუიჯი არის მშვიდობიანის ზომიერების კაცი, რომელიც დაღვრთილებაში ეძიებს წარმატებას!

მენცია. მენის გაზეთში Presse-ში დაბეჭდილი არის: „მენცია უფრო და უფრო მწუხარებაში შედის. ჯარები წინ და უკან მოძრაობენ ქუჩებში, სადაც კედლებზედ მიკრულია განცხადებები და სადაც იკრიფებილი-ძალი ხალხი, ახლის ამბების მწყურვლო მრავალმა ყმაწვილმა კაცებმა ნათესავები და სტოვეს და მენციიდან გავიდნენ; წმ. მარკოზის მიდანზედ და ზღვის პირზედ ჩიჩერონები (გზის მაჩვენებელი) ელაყებიან ოტელების მგაბრუნებებს; ისინი ამათ ელიან შემოგროვებას სტუმრებისა უცხო-ქვეყნებისა. მრავალი ღუქანი და მაგაზინი დაიკეტა რადგანაც მსყიდველები აღარ არიან; სასტუმროები კი სამსეა ხალხით. პოლიცია ფეხზედ დგას და ყოველ-ღამე ქუჩებში დაიარბენ მრავალი პატრული (მხვერავე). ნავთ-სადგურში აღარ არის არც ერთი სამ-ილქნიანი გემი ახლათ მოსული ანგლიური ცეცხლის გემ დგას აქ, როგორც უდაბურს ადგილში ოპონისი. (მაზისს უძახიან აფრიკის უწყლო-უნაყოფო უდაბურს ადგილებში კუნძულებსავე დაფანტულს წყლიანს და ნაყოფიერებით შეკვულს ადგილებს). ნავთ-სადგურებს ცოტათაცხოველებენ საკანონირო ნაგები, რომლებსაც ჯარები საომრო სამზადისით გადაჰყავ-

ლებდა, საწყალ დედას, სასო-წარკვეთილებდა ეძლევა, თითქმის ყველა ბოროტ-მოქმედებაზედ გამზადებულია ლუკმა-პურისთვის, ფაქრის ილაჯი აღარა აქვს, ჩაკაკანებულ ქალს ურს აღარ უდგებს, რალასაც დაამტყრდა, მაგრამ ერთმა ხმა-მალა ქალის ამოჩხველებამ ერთ წუთს გამოაფხიზლა შიმშილის ბუჩინიდან,—აიღო ლალარწი, მჩვარისავით ძუძუ და ძალათ ჩაუღო ტირილისაგან გაღურჯებულ ქალს პირში, თითონაც ველარ შეიპარა თავი, დაეხინა მკლავებით თავის ქალის აკვანზედ, მღვლარე გული ველარ შეიპარა, ჩასძახა ქალს: შვილო, საყვარელო, სიცოცხლე, მშიერმა მშიერს რა უნდა მოგცე, რომ ეგრე შეუპოვრად და ამაყად მიხობე ნაწლევები მეყვის!... ჯერ არ დაესრულებინეს სიტყვები გულმა აღარ დააქადა, გადმოსქდა ნაკადულისაგათ, ღა-ღაბით ორსავე თვალეებდან ცხელი ტრემლი ზედ ქალის გულზედ... ჩაკვიდა თავი, შუბლი დაანდო აკვანის ხარხასს, მოეშო მთელი ტანით, თვალეები დახუჭა და მიეცა ღრმა რალაც გაუგებელ ფიქრს....

IV. თითონაც არ იცოდა რამტელ ხანს იყო ამ მდგომარეობაში, არც არა ახსოვდა რა,—გამო-

ერკვია მაშინ, როდესაც ზღაბა შემოვიდა დგელი წაქრა: დედაკაცო, დედაკაცო, რადროს და რა ადგილს ძილი გაქვს, აჰ ფქვილი მოგიტანე, გამოაცხე დროზედ, შიმშილით თვალთ აღარ მიჭრის... ეს გოგო რატო ეს ვალურჯებულა? უთუოთ ტირილით არის და ოსებული, მომცე ერთი მოცეხეიო... ამ სიტყვებით მოუჯდა ზღაბა აკვანს...
 ცოლი პატარა ხანს დარეტიანებულსავე უყურებდა ქმარს, მერე კი გონზედ—მოვიდა მაშინვე ცრემლიანი თვალეებით და მორთოლვარე ხმით შესძახა: ოჰ, კაცო, შენა ხარ! რაზედ ამოგწყვიტე შიმშილით, აი ეხლა დაბნეული და გამობრუებული ვიყავი, არაქათი აღარ გაქვს სიცოცხლისა, მე ჯანი გამეარდეს, თუ მე არ გებრალეები, ეს შენი პატარა მამარა (ქალის სახელია) მაინც გახსოვდეს, თითქოს მაგანაც ეხლა ენა ამოიღე, ისე ცხდათ მე უყურებოდა მაგის ტირილი, პურს თხზოდ ეგეტა... ბული ჩამეთუთქა... მოკვედი... პირში სული აღარა მაქვს...
 —აღე, ადე, წუწუნის დრო არ არის, ამით საქმე არ გარიგდება, მე ვილას შეგიჩელო, რომ შიმშილით და დაქანტულობით აღარ მესმის რა; რაც მე დღეს უბედურება გადახდა, ლმერთმა იმისთანა დღე ჩემს მტერსა



სიმაგრეებში. რამდენიმე დღე არის, რაც ნე-
მეცური შკოლა დაიხურა, მასწავლებლები
და მოწაფეები მენეჯილამ გაეიდნენ; მასწავ-
ლებლებმა აფიცრის ჩინები მიიღეს და გაიგ-
ზავენენ ჯარებში სამსახურათ; მოწაფეებმა კი
მენეჯია დასტოვეს მშობლები თურთ. ამ მშვე-
ნიერს შკოლას ვერც ერთი შკოლა ვერ შე-
ედრებოდა მთელს ლომბარდო—მენეჯის სა-
კაროლოში*.

—საზოგადო პუბლიკის გაზეთი ამტკი-
ცებს, რომ მენეჯის თანამდებმა ვალმა ასე-
თი სიფიქსე აღძრა იტალიაში, რომ სიტყვი-
არ გამოითქმის. ახლა „მელნი“ გაზეთს ამბავი
მოუვიდა, რომ წმინდა მარკოსის ხაზინა მე-
ნეჯილამ წაუღიათ მენაში. ამ საუნჯეში
ძვირფასს და ხელნაწურს ნივთებს გარდა ინა-
ხებოდა იმისთანა საგნებიც, რომელნიც მთელს
იტალიაში წმინდათა და პატრივსაცემთ მიან-
დათ. აი მაგალითად: ბროლის ვაზი მაცხო-
ვარის სისხლითა, აყიყის ლანგარი იოანე ნა-
თლის-მცემელის თავის ძვალითა, მახელი ლო-
ყის (*) მორაზინისა, საგნისკოპოსო კათედრა,
რომელიც, როგორც იტყვიან, ეკუთვნოდა
წმინდა მარკოსსა, —სახსოვარი მეწვიდე საუ-
კუნისა და სხვა.

„**ოსმალ**“. საჯაროსნო გაზეთი (Kireto-
vaya gazeta) გადმოგვცემს ხმას, რომ მგვი-
ტის ჯარებმა, რომელნიც პორტის (სულთა-
ნის) განკარგულებით გადაიყვანეს ლუნაიზედ-
თან ხოლგრა მოიტანესო.

ამერიკა. სახალხო გაზეთში ნუ-იორკიდან
სწერენ 8 მაისს: მრთს ამერიკის შტატის ქა-
ლაქში, მემფისში მოხდა მღელვარება. უწყო-
ების მიზეზი სულ უზრალა იყო. შთაფრესი
მიზეზი კი ის იყო, რომ დაბალს თეთრს
ამერიკის ხალხს სძულს ნეგრები. ეს სიძული-
ლი კიდევ უფრო გადიდა იმის შემდეგ, რაც
ნეგრებმა მოიპოვეს თავისუფლება, აღმოაჩი-
ნეს შრომის და სწავლის მოყვარება, რომ
გამჯობინონ თავისი ნივთიერებითი მდგომა-
რება საზოგადოებაში. მთერს დაბალს ხა-
ლხს უფრო სურს, რომ ხელ-და-ხელ მოკ-
ლას ნეგრი (შავი კაცი, ლაზი), ვინამც შე-
ეჯიბროს კეთილ-შობილურად შემოხსენებულს
მდგომარეობის მოპოებაში. როგორც ამბო-
ბენ მემფისში დახოცეს ნეგრები 40 კაცამ-
დის. ზოგს უსვენდისო კაცს აი რა გამოჰყავს

(*) საშუალო საუკუნეში, როდესაც მენეჯია იყო
თავისუფალი სახელმწიფო, მაშინ იქ რესპუბლიკა
არსებდა ამ რესპუბლიკაში უზენაესი ადმინისტრაცი-
ული უფლება ჰქონდა ხოლმე მინიჭებული ერთს კაცს
და იმას ერქვა ლოჯი.

ნუ დააყენოს, მაგრამ რა, ეს ხომ პირველი
არ არის ჩვენ სიკაცხლეში. სხვა ვიჩივლოთ
რამე, თორემ ჭირისა და მწუხარების მეტ-
რა გვიწახანს, ლმერთი მოწყალეა, შეფალი არ
გაგვიწარავს, მანამ პირში სული გვიდგა უნდა-
ოფლისა და სისხლის პური ეჭპოთ, ჯაფაში
სულ-გრძელდება, ჭირში გამაგრება ვინც არ
იცის—ის არც ქართველია... ადექი და მა-
ნამ შენ გამოაცხობ, მე პატარა ხანს თვალს
მოვატყუებ, ვინძლო ბინდის დროს უთუ-
ოთ გამოამადიდო, რომ იმ ღვთის—როსხე-
კაცმა პატარა ადრე მნახოს თავის დუ-
ქნის წინ, რომ თავის ულთო შარებს თავი
დაანებოს... ამ სიტყვებით მივიდა აკვანთან
და თავის პირ გადანიღო მტრად ქალს
კოცნა დაუწყო ტკბილათ, თან უყვებდა
და აჩუმებდა. ამ ლოლიობაში თითონაც
იქვე მიესვენა და დამტრევეულ-დაჩენ-
ქელიმა ძლივს ჩაიძინა თავის სახლში, მოს-
ვენა მოკლე ხანს, მაგრამ ღრმად და ტკბი-
ლად, მიეშო აკვანზედ ეს დაღალულ-დაწყვე-
ტილი ბერიკაცი...

მლისაბედი დაფაციცდა მაშინვე, რაც შე-
ეძლო, მარადთ მოხილა და ცოლს ტყავი წა-
ახურა, გავიდა კარზედ, მიჩინჩხერ-მოჩინჩხერა,
ორიოდ ნუგუზალიც მერაზედ იპოვნა, აბო-

ამ შემთხვევიდამ: „ვიდრე ნეგრები მონება-
ში იყენენ, იმათ ბევრს ერთად არა ხოცა-
დენენ; (შექველია, თითო-თითოთ კი ხშირად
პოპკლადენენ ხოლმე); მასუკან, რაც ნეგ-
რებს მიეცათ თავისუფლება, დაუწყეს იმათ
პრავლობით ხოცვა. მაშასადამე ნეგრებისა-
თვის მონაობა განთავისუფლებასზედ უფრო
სასარგებლო იყო. შემოხსენებულს ამბებს გა-
რდა ჩრდილოეთის ამერიკის სამხრეთის შტა-
ტებიდან ისმის ცუდი ხმები. ისინი მოგვი-
თხრობენ, რომ სხვა და სხვა ადგილებს სამ-
ხრეთის შტატებში თეთრი დაბალი ხალხი
შომშლით წყდება. ბანთავისუფლებულს ნე-
გრების საქმეებზედ დაწესებული ბიურო, რომ-
ლის აზრიც პირველად ის იყო, რომ გაჭირ-
ვებულს ნეგრებს მოხმარებოდა და დაეფარა
ისინი მებატონების დენისგან, ახლა იძუ-
ლებულია მოუპოვოს სახრდო იმ თეთრ-კა-
ცებს, რომელთაც შეუძლებლობის გამო არა-
ვითარი ღონისძიება არა აქვთ. ბიურო აგ-
რეთვე ეძებს საშუალებას ზარმაცი თეთრი
ხალხიც არჩინოს. ათასი თეთრი-კაცი საზო-
გადო ხარჯზედ იკვებება, სხვა და სხვა ამე-
რიკის შტატებში. შუ. ჯონსონი და იმასთან
სამხრეთელებიც, რომელთაც მონაობა სურ-
დათ, რომ დარჩენილიყო, საკვირველია, რომ
ახლა არ ეწინააღმდეგებოან ამ გეარს განკარ-
გულებას ბიუროსას. ამ გეარი მოქმედებაც
რომ შტატების თვით-გამგეობის წინააღმდეგია
ამათის აზრით?

რაოდენსამე დღის წინათ ჯონსონმა გა-
დასცა კონგრესს სია იმ არისტოკრატებისა,
რომელნიც განდგომილის შტატების მცხოვ-
რებლები არიან და რომელნიც არ უნდა ას-
ცილებოდნენ კანონიერს სასჯელს. იმათი ქო-
ნება იყო ათას დოლლარს გადაემეტებოდა.
სჯული მოითხოვდა, რომ მდიდრები, რო-
მელთაც იყო ათას დოლლარზედ მეტი ქო-
ნება ჰქონდათ, კანონისამებრ დასჯილ იყვნენ.
პრეზიდენტმა ჯონსონმა კი იმათაც მიუტე-
ვა. კონგრესში ამტკიცებენ, რომ პრეზიდენტს
არ ჰქონდა ნება, რომ იმათთვის მიეტყვი-
ნა. ჯერ-ჯერობით ამისთანა მოქმედებას ყუ-
რადლებას არ აქცევენ. კონგრესი ძალიან
შეცადინებოდა, რომ მყოფადი დაიცვას ჯონ-
სონის ამაყის მოქმედებისგან. იმას არა აქვს
დრო, რომ, რაც მოხდა, ის განიხილოს. შუ-
რო ბევრი ნაწილი რესპუბლიკელებისა პრე-
ზიდენტის ყოფაქცევით საშინლათ გაჯავრე-
ბულნი არიან. მრთის ამერიკის შტატის, ილ-
ლინოისის წარმომადგენელმა წარმოსთქვა სი-
ტყვა, რომელიც მთელი ორი საათი გაგრძელ-
და. ამ სიტყვამ ცხადათ დაამტკიცა, თუ

ლა როგორც იყო და ორი კეცი წამოუწყო
ცეცხლსა აქეთ-იქით. ჯერ არც კეცები გახუ-
რებულყო რიგინად და არც ცომი გაფუ-
ბულიყო, მაგრამ იმის კაცს დრო მოუახ-
ლოვდა ქალაქში წასვლისა, მტე ილაჯი
არ-იყო უნდა გაუღვივარი გუნდები ჩაეკრა,
ჯერ ისევ განელეხულ კეცებში. ჩააკრა პა-
ტარ-პატარა გუნდები კეცებში, კაკალა პუ-
რებათ, შევიდგან კარგა ბლომად წაყარა ნა-
ღვერდალი და თითონ სახლში ფუსფუსი დაი-
წყო. პატარა ხანს უკან გადმოიღო ორიოდ
თავი, შავი ზამთრის ბოლოკი, დათალა ხონ-
ჩაზედ, მარილი მოაყარა, ლიტრით წყალი მო-
იდგა; როგორც პირი მოუშრათ ამოხდა-
ჯერ ისევ ლოფლოფი პურებიც და ქმარს დე-
ქება დაუწყო... რამდენჯერმე შედგა უკან,
ებრალეზოდა თავის კაცი, ხმა—მაღალი ხერი-
ნვა არ უნდოდა გაეწყვეტინებინა, მაგრამ კა-
რზედ გაიხედა და ხშირ-ბინდს ბევრი აღარა-
აკლდა რა, შეიღმაც მეზობელს მოუყვანა
სახედარი, შეშა გაეყიდნა ქალაქში; მეორე
დღეს კი თავის სახლში უნდა დაეცა-
ლა ერთი ვირის საპალნე შეშა ფეხის ქირაში,
რადგანაც შეიღი საპალნე პატრონისთინ გაჰყი-
და...

—შამო, შეიღო, ვაი შენ დედას, რა ფერი

რაოდენათ გაცხარებულნი არიან პრეზი-
დენტზედ.

„ძვლავ-აღდგინება კავშირისა ასე არ გა-
წელდებოდა, თუ რომ პრეზიდენტს ჯონ-
სონს პატრონად და კეთილ-სენდისინათ
აღსრულებინა ის ვალდებულებანი, რომელ-
ნიც მხარემ იმას დასდგა; თუ რომ პრეზი-
დენტს უფრო მეტი ჭკუა ჰქონოდა, უფრო
კოტა პატრიის მოყვარება, უფრო ბევრი სი-
ყვარული სამშობლოსადმი და უფრო კოტა
ეგოისტობა (თავმოყვარება, სიამპარტაენე).
ბულში პრეზიდენტი ჯონსონი არაოდეს არ
ყო რესპუბლიკის პარტიის თანამგრძობელი.
ის ბუნებით სამხრეთელია ყოველის თავისის
კრძალობათა, გულისთქმითა და გესლიანობი-
თა, რომლითაც არიან ყველა სამხრეთელები
მეტყულნი. ამერიკის ხალხის სიყვარულისა
და მადლობის მაგიერად ჯონსონმა მოიპო-
ვა მხოლოდ განდგომილების გული და იმა-
თი თანამოზიარების სიყვარული ჩრდილოეთ-
ში. ამერიკის ხალხმა ბევრი გაჭირვება გამო-
იარა და ბევრიც შეუძლიან კიდევ მოითმი-
ნოს; მაგრამ ერთსა და იმავე წელში ხალხმა
მოითმინოს უბედურება პირუტყვის ჭირისა-
გან, ტრინიდიდან (*), ხოლგრიდან და ამას-
თან კიდევ შეიქნეს ამ რიგათ დაჯილდოვე-
ბული ანდრუ ჯონსონისაგან—ნება თქვენია-
ეს მეტად-მეტეა. დაბალი და მაღალი, ვინც
კი რესპუბლიკის პარტიას ეკუთვნის, ყველა-
ნი ამ რიგათ ლაპარაკობენ პრეზიდენტ-ჯონ-
სონზედ.

შოთი დამ სწერენ ქავკაზში:
მტირე თათრის კარპუსი შეგროვდა ბა-
თუმის გარემოში. მარსელიდამ მოსულნი ამ-
ბობენ, რომ იტალიის ვოლონტერები მენე-
ჯის მხარეში გადიდნენ. შრანტუზის კამპა-
ნია „Messagerie Impetiale“ შოთში სარეი-
სოთ (სასიარულოთ) ცეცხლის გემი კიდევ
არა აქვს და რუსულს ქირაობს, ამისთვის
რომ ცეცხლის გემი „რიონი“, ძალიან წამხდა-
რია და გაგზავნილია გასაკეთებლათ. ხუთ-
პანეთიანი ოქრო შოთში 6 მანეთათ და 85
კაბ. გადის, დიდი ხანი არ არის, რაც ნ მან.
და 60 კაპეკად გადიოდა, 7 მანეთად კი არა-
ოდეს არ გამხდარა. შავის ზღვის პირებზედ
წინაწლების მისხედ ამ წლის მისში უფრო
გავრცელდა ციებ—ცხელება. ბაგრის ციხეებ-

(*) ტრინიდი არის ერთგვარი მავნებელი კია, რო-
მელიც ღორის ტანში ცხოვრებს და რომელიც ღორის
პარკიდამ შეიძლება კაცის სხეულში გადაიდეს. ის
პრავლდება კაცის ტანში და არის მოამკედინებელი.

დ-გდება, ლილასავით გალურჯებულხარ სი-
ცივისაგან, პურიც გეშეება, შე შავის დღის-
იგ... შესძახა დედამ...

შევიდა პატარა ბედეკრულად ძე სახ-
ლში, კრიკა შეკრული ყინვისაგან, ხელგებზედ
იორთქლამდა და იფშენეტდა... მამაც გააღვი-
ძა, დასდნენ და პურის ჭამა დაიწყეს... ტკბი-
ლათ და მადიანათ ილულნებოდნენ ბე-
კრულად ძე ბი.—ღარიბის პური ტკბილია!
—ძვირად უჯდება ამის შოვნა და იმიტომაც
თაფლისავით ეჩვენება...

—ძალიან არა ცივა ამ სახლში! წაიბუტ-
ბუტა მამამ (აბა რა დაათობდა:—კარი ღია,
ბანი ღია და კედლებში ფარლალალები, ეცე-
ბებია გამონგრეული დოლაბები იყო).

—შეიღო, ზურაბ, (ვაჟს ერქო) როდის
არის ჩვენი რიგი შეშის მოტანისა?

—აი, დღეს შეიღი საპალნე შესრულდა,
რაც გაეყიდე ფასი სულ ნინიკას (სახედრის
პატრონს, ერქო) მიუტანე, ხვალ კი ჩვენთვის
მოვიტან, —ხომ პირობაც ასე გვაქვს!

—ჰო, შეიღო, ვინძლო, კარგი, ხმელი შე-
შა მოიტანო; აი, ხომ ხვდამ დედა-შენს:—
რა ძონძი-კაბითა ზის ამ ზამთარში? თითქმის
ტიტველა არის საწყალი!...—მე რა არის,
შეიღო, შენი ყოფა, პირი და ხელი რას გი-

მი, სადაც კარგი ავა არის, საზაფხულოდ საშუა-
ხედრო დროებითი ლაზარეთი გახსნეს... იქ იქ იქ

ტ ე ლ ე ზ რ ა მ მ მ ი,

პეტერბურგში მიღებული.

იტციეგოე, 30 მაისს (1 ივნისს).
ტელეგრაფის ძაფი, რომელიც ალტონის
ქალაქში მიდიოდა, გაწყვეტილია. ბუმინ ლო-
შტინის სახელმწიფო მოხელეთ დებუტატე-
ბი ცდილობდნენ მთავრობის შესაკრებს ზა-
ლაში შესულიყვნენ. შუალამეს პრუსიის კა-
პიტანმა შეიპყრო დებუტატი ლესერი, რომ-
ელიც რენდსბურგის ციხეში ჩასვეს. აესტრი-
ის მოადგილის ამხანაგი სამოქალაქო საქ-
მეებში, ბოფმანი ფარულად ღამე გამოვიდა
იტციეგოიდან, რომ შეატყობინოს, რაც მოხ-
და აესტრიის მოადგილეს ბარონს ბაბლენცს.

მენუა, 30 მაისს (11 ივნისს). საღამოს
პაპრეიდგან ღენერალი ბარიბალი აქ მო-
ვიდა და აქედამ პირდაპირ ძომოს მიდის.

შლორენცია, 30 მაისს (11 ივნისს). მეხი-
კის ელჩმა დღეს მაქსიმოლიანის წიგნი მისცა
ბელში მიკტორ-შემანუილსა და იმის შეიღს
პრინცს ჰუმბერტს გადასცა ნიშანი ორდენი-
სა, არწივის პირველის ხარისხისა, რომლითაც
დააჯილდოვა პრინცი მეხიკის იმპერატორმა

შვილისში მიღებული.

პეტერბურგი, 8 ივნისს. პრუს-
სიელებმა დაიპირეს საქსონიის სატანტო ქა-
ლაქი ღრეზდენი და ძასელი. იტალიამ აე-
სტრიას და ბავარიას ომი გამოუცხადა.—ან-
გლიის სამინისტრო დამარცხდა ს რეფორმო
ბილოის უმთავრესს განსწორებაში.

პეტერბურგი, 13 ივნისს. ღენერალ-
მა რომანოვსკიმ შეიღის დღის მამაცურს გა-
მაგრების შემდეგ [დ იპყრა შტურმიოთ ხოჯენ-
ტი 24 მაისს.—იტალიის არმია მდინარე მინ-
ჩიოზედ გადავიდა. პრუსსიელები შეცივიდნენ
ბოლემიაში.

სალიტერატურა ნაწილი.
**ისტორიული მოძრაობა განათლე-
ბისა.**
VI.

მინც კი ცოტათ მაინც თვალ-ყურს ადევ-
ნებს განათლების მოძრაობას, ის დარწმუნე-
ბულია, რომ ახლანდელი დრო შეუდარებ-
ლათ მაღლა დგას, ვიდრე მთელი გავლილი
საუკუნეები ერთათ. სივილიზაციაში მოწინა-
ვე ქვეყნები არიან—მეროპაში: შრანცია, ან-

გავს, რაზედ დაგიმონავებია შენი თავი!..

—მამი, პირი ეს ერთი თვეც არის არ და-
მიბანია, და ხელში კი წალდი წამოვიკარ
შეშის ქრავში, სისხლი რომ ვერ შევიწვიტე,
ჯერ მიწა დავიყარე და მერე მარილი და შა-
რიცი, იმისგან გამისივდა... ამ დროს მლისა-
ბედს თავის პატარა ქალი, თამარი, კალთაში
უჯდა, პურს უღებდა და აქმევედა...

შათავდა ასე სწრაფად ბედკრულადის სახ-
ლობის ერთად ყოფნა და მეჯლიში. ბლა-
ხამ დაიძახა: ეხლა კი დროა მივეშველო ჩემ
დუქანს, მშვიდობით ცოლო და შეილო ხვალ
ამ დრომდინ... ამ სიტყვებით ჩაჰკოცნა პატარა
თამარი და გამოვიდა კარზედ, რაც კი რამ
სათბუნებელი ეშობოდა და ებადა სულ ზედ
წამოისხა... მრთი კარგი მადლიანი პირჯვარი
გამოისახა, ახსენა ლმერთი და დაეშო ქალაქ-
ისკენ; —ხუსუსით გამოსწია...

(შემდეგი იქნება).

სადაც კარგი ავა არის, საზაფხულოდ საშუა-
ხედრო დროებითი ლაზარეთი გახსნეს... იქ იქ იქ

